№ 245 ნოემბერი 17, კვირა 1891 ნოემბერი 17, კვირა № 245

# ივერია

1877—1891 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1891

გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულის სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ულბერივი სტრიქონი რვაკაპეიკი.

ქართული თეატრი

სამშაბათს, 19 ნოემბერს,

ნ. მ. გაბუნია-ცაგარლის მონაწილეობით

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასისაგან წარმოდგენილი იქნება

I

**ხანუმა**

კომედია 3 მოქ. და 4 სურათად თხზ. ა. ცაგარლისა.

II

**ადვოკატთან**

ვოდევილი 1 მოქ. ვ. გუნიასი.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი სათვაროვი-აბაშიძისა, გაბუნია-ცაგარლისა, ჩერქეზიშვილისა, ტარიელოვისა, არლანი, აგიევისა და ბ-ნნი: აბაშიძე, გუნია, გედევანოვი, ცაგარელი, კანდელაკი, შათირიშვილი, თამაზიშვილი და სხვ.

დასაწყისი $7^1/_2$ საათზედ.

ადმინისტრატორი ვალ. გუნია

ქართველთა ამხანაგობის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ, რადგან 1 ნოემბრამდე საპრემიოდ ერთის მოთხრობის მეტი არ იქმნა წარმოდგენილი, ამისითვის გამგეობა ხელმეორედ აცხადებს ორს პრემიას საუკეთესო ისტორიულის მოთხრობისათვის. პირობები წინანდელია: პირველი პრემია 200 მან. და მეორე 100 მან. პირველს პრემაზე მოთხრობა უნდა იქმნას დაწერილი არა ნაკლებ 10 ბეჭდურის თაბახისა და მეორე არა ნაკლებ 5 თაბახისა. პრემიით დაჯილდოვებულს მოთხრობას ამხანაგობა გამოსცემს არა უმეტეს 1200 ეკზ., რომლის გაყიდვის შემდეგ ავტორს ეძლევა ყოველივე უფლება საკუთრებისა. მოთხრობის დასაფასებლად წაკითხვის დროს მოწვეულნი იქნებიან ჩვენი საუკეთესო მწერალნი. მოთხრობანი წარმოდგენილნი უნდა იქმნენ 1 ნოემბრამდე 1892 წ. მოთხრობასთან ერთად უნდა გამოიგზავნოს გვარი და ადრესი ავტორისა დაბეჭდილის კონვერტით. ადრესი: Правленію грузинскаго издательскаго товарищества въ Тифлисѣ

(5—1)



**დღეს,**

17 ნოემბერს,

სწორედ 2 საათზე,

**პაეროსტატით აფრინდება**

ოგიუსტ გოდრონი

(იუნკრების სასწავლებლის მოედანზე.)



**კვირას, 17 ნოემბერს,**

ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილმამულო ბანკის თეატრში



სპირიტულსა და სამედიუმო წარმოდგენას გაჰმართავს მისის იმპერატორებითის უმაღლესობის დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის კარის არტისტი, წევრი ბერლინის საფიზიკო კაბინეთისა, ჩვენის დროის პირველი პრესტიდიჟატორი, ნ. ა. კაზლოვი.

ბილეთების ყიდვა ეხლავე შეიძლება თეატრის კასსაში. (1—1)

ტფილისი, 16 ნოემბერი

ბ-ნის იზმაილოვის ამორჩევა კანონიერად ცნობილ იქმნა „Губернское по городскимъ дѣламъ Присутствіе“-საგან. მართალია, ამ ამორჩევის გამო ეგრედ წოდებულმა ოპოზიციამ საჩივარი შეიტანა, მაგრამ ეს საჩივარი არ იქმნა შეწყნარებულ და ოპოზიციას ჯერ ხანად სხვა არა დარჩენიარა, რომ განაჩენს ხსენებულ Присутствіе-სას უნდა დაჰმორჩილდეს და ბ-ნი იზმაილოვი იწამოს ქალაქის მოურავის მოადგილედ.

ჩვენ ყოველს ამაში არას ფერს დასაძრახისს და საწყენს არა ვხედავთ ოპოზიციისათვის. იგი ამ საქმეში ისე მოიქცა, როგორც ჭკვა, გონება და ნამუსი აგონებდა და თუ ნაგონები არ აუსრულდა, ეგ ჯერ კიდევ იმასა არა ჰნიშნავს, რომ მართალნი არიან გამარჯვებულნი. მართალია, ბევრმა სიხარულის ბუკი და ნაღარა დაჰკრა, რომ ბ-ნ იზმაილოვის ამორჩევა დამტკიცებულ იქმნა, მაგრამ, სამწუხაროდ ჩვენდა, ამ სიხარულში იმას-კი არ უჭირავს ადგილი, რომ ამით ქალაქის საქმეებს ხელი შეეწყოო, არამედ იმას, რომ გამარჯვება ჩვენია და არა თქვენიო, ესე იგი, მე და არა შენაო. ეს მით უფრო სამწუხაროა, რომ ამისთანა საქმეში საერთოდ პატივსაცემელი „ჩვენ“ უნდა ჰლაპარაკობდეს და არა მე, თუ შენ. ეს განპირადებული სიხარული არ ითაკილა საქვეყნოდ გამოეცხადებინა ერთმა აქაურმა გაზეთმაც-კი და ვაი იმ საზოგადოებას, საცა ქვეყნის დამრიგებელს მწერალსაც-კი ამისთანები არამც თუ ცოდვად მიაჩნია, არამედ სასიხარულოდაც. ამისთანა ამბავი იმოდენად სამარცხვინო არ არის თვითონ მწერალისათვის, რამოდენადაც გასაბიაბრუებელია თვითონ საზოგადოებისათვის, იმიტომ რომ იქ, საცა მწერალი სახეზე სირცხვილის ალიმულ მოუკიდებლად ამისთანა გულნადების გამოაშკარავებას არ ერიდება, საზოგადოება მეტად დაბალს ხარისხზე მდგომად უნდა ჩაეთვალა.

ოპოზიციას იმით არა დაუშავდება-რა, რომ ბ-ნი იზმაილოვი დარჩა ქალაქის მოურავის მოადგილედ. იმიტომ-რომ იგი ბ-ნ იზმაილოვს ებრძოდა ისე-კი არა, როგორც კერძო, ცალკე კაცს, არამედ როგორც წარმომადგენელს და ნიჭიერს წარმომადგენელსაც იმისთანა სისტემისას, რომელიც ასე თუ ისე არ მოსწონს ოპოზიციას ქალაქის საზოგადო ინტერესების მიხედვითა. რაკი ქალაქის საჭიროების თვალით იყურება ოპოზიცია, რაკი სახეში საზოგადო საქმეთა ავ-კარგიანობის სასწორი და საწყაო აუღია ხელში,— ეს, ჩვენის ფიქრით, ჯერ ხანად მაინც უეჭველია—და რაკი ბ-ნი იზმაილოვი მიიჩნია ოპოზიციამ წარმომადგენლად დაწუნებულ სისტემისა, ოპოზიციის ზნეობური და საზოგადოებური მოვალეობა და ღირსება ითხოვდა ცდილიყო ეს ნიჭიერი წარმომადგენელი ძველის გამგეობისა, ძველის სისტემისა არ ამორჩეულ ყოფილიყო იმისთანა გავლენიან თანამდებობის დასაჭერად, როგორიც ქალაქის მოურავის მოადგილეობაა. ეგ არაფერი, რომ ცდამ უქმად ჩაუარა, ხოლო იგი, რამაც ამის საცდელად იძულებულ ჰყო ოპოზიცია და ხელი გამოაღებინა, საქებურია და არა-ნიშნ მოსაგებელი.

ჩვენ ჯერ ხელთ არა გვაქვს საკმაოდ სავსე საბუთები, რომ ეხლავ ვსთქვათ, ვინ არის მართალი ძველი გამგეობა, თუ ოპოზიცია იმ ჭიდილში, რომელიც ეხლა გამართულია ქალაქის საბჭოში. ჯერ ბევრი ხანი არ გასულა, რაც ახალმა სიომ დაიწყო დენა და რაც ხანი იყო, ისიც თითქმის მარტო არჩევანების ჰყო არაობას მოუნდა. ოპოზიციას დრო არა ჰქონდა მძლავრი საბუთები ხელთ მიეცა საზოგადოებისთვის ამ საგანზე უტყუარ განაჩენის დასადგენად. ჩვენ მხოლოდ ის შევნიშნეთ, რომ ოპოზიციას ყოველი თვისი მოქმედება, ყოველი თვისი ქცევა ქალაქის საზოგადო ინტერესებისაგან გამოჰყავს. მისს მოწინააღმდეგეებს ვსთხოვთ, ერთი მაგალითი მაინც გვაჩვენონ ამისი უარ-მყოფელი.

რადგანაც ესეა, ბ-ნი იზმაილოვის ამორჩევა ნუ უხარიანთ იმათ, ვინც „მე“-ს უფრო ჰრჩეობს, ვიდრე „ჩვენ“-ს, ნურც ნიშნს-უგებენ იმათ, ვისაც იმისთანა საქმეში, როგორც ქალაქის საქმეებია „ჩვენ“-ს უფრო წინ აყენებენ „მე“-ზე. საქმე ის-კი არ არის, ვინ არის დღეს ქალაქის მოურავის მოადგილედ, საქმე ის არის, როგორ გადაურჩება ძველი გამგეობა, ოპოზიციისაგან მიტანილ იერიშსა და როგორ გაიმართლებს თავს ეგრედ წოდებული ოპოზიცია ამ იერიშის მიტანაში. ამას დრო და შემდეგი მოქმედება ერთისა და მეორის მხრისა დაგვანახვებს.

ჩვენ არა გვგონია, ოპოზიციამ გული გაიტეხოს და ამის გამო გაუგრილდეს თავისს წმინდა მოვალეობას. იგი ეხლა უფრო მედგრად და ბეჯითად უნდა მოეკიდოს კისრად აღებულს საქმესა და აჩვენოს ქალაქს და ქალაქის საზოგადოებას ცხადის და თვალსაჩინო მაგალითებით, რომ მას სახეში არა აქვს-რა, გარდა საზოგადო სიკეთისა, საზოგადო საჭიროებისა. წინადაც გვითქვამს და ეხლაც ვიტყვით, რომ მარტო ამაზე არის დამოკიდებული მიზეზი ოპოზიციის არსებობისა, მისი სახელი და დიდება.

## ახალი ამბავი

*** ქართულ წიგნების გამომცემს ამხანაგობას დღე-დღეზე ემატება წევრთა რიცხვი. როგორც შევიტყეთ, ეხლა ამხანაგობაში 150 კაცამდეა წევრი. ჯერ-ჯერობით უმეტესი ნაწილი შესდგება პროვინციის ქალაქების წარმომადგენლებისაგან. აგრეთვე ბლომად არიან სოფლის ინტელიგენციიდგან. ძლიერ მცირე ნაწილს შეადგენს ყველაფერში უფრო გულგულ-გრილი და თავ-თავისს კუთხეში მიმჯდარი, გაბუტული და იქნება კიდეც გაბურთული ტფილისის საზოგადოება. მაგრამ ამ ბოლოს დროს, როდესაც ეს საზოგადოება თავისის თვალითა ჰხედავს, რომ ამხანაგობა აღარა ჰხუმრობს და შრომას თანდათან უმატებს, მისს შორისაც ჩნდებიან კაცნი, რომელთაც ცოტ-ცოტა უთბებათ გული, თითქო ხალისდებიან კიდეც საქვეყნო საქმის წარმატებით და ზოგნი კიდეც ეწერებიან წევრებად. უეჭველია, რომ ტფილისის ამოდენა ქართველობაში მაგალითს თავისი შედეგი მალე მოჰყვება, გაიღვიძებს სურვილი საზოგადო საქმის ყურადღებისა და მაშინ აქაურებიც ბევრნი მისცემენ ზურგს ამისთანა ამხანაგობას. დღეს ამხანაგობის წევრებად ირიცხებიან, სხვათა შორის, შემდეგი ცნობილნი კაცნი ქართველთა შორის: კნ. სოფიო მიქელაძისა, კნიაჟნა ელენე ლორთქიფანიძისა, ქ-ნი ჟურულისა, თავადი გრიგოლ გურიელი, მოხუცებული მეთაური ჩვენთვის მრავალ სასიკეთო საქმისა კონსტანტინე მამაცაშვილი, თავადი გიორგი თარხნიშვილი; თავადი დავით ავალიშვილი, თელავის მაზრის თავად-აზნაურთა მარშალი თავადი ილია ჯორჯაძე და სხვანი.

*** შარშან ზაფხულს მცხეთაში წარმოდგენა გამართეს საქველ-მოქმედო აზრით: ნახევარი შემოსავლისა უნდა მისცემოდა წინამძღვარიანთკარის სამეურნეო სკოლას და ნახევარიც უნდა გადადებულიყო სასარგებლოდ მცხეთის ხიდის ფონდისა. წარმოდგენიდგან შემოვიდა ათი თუმანი. აქედგან ხუთი თუმანი მაშინვე გარდაეცა წინამძღვარიანთ-კარის სკოლას. დარჩა კიდევ ხუთი თუმანი ხიდის ფონდისა. რადგან არაგვზე ხიდის გაკეთების ნება-რთვა არ მისცა მთავრობამ, ამიტომ ამ საქმის მეთაურთ ხსენებული ხუთი თუმანი ასე გაანაწილეს სხვა-და-სხვა საქველ-მოქმედო საქმისათვის: ორი თუმანი მიეცა მცხეთის სასოფლო წიგნთ-საცავს, ერთი თუმანი—მცხეთის სამრევლო სკოლას და ერთი თუმანიც მცხეთის დედათა მონასტრის სასწავლებელს. დარჩა კიდევ ერთი თუმანი, რომელიც ჩვენს რედაქციაში იქმნა გამოგზავნილი— 5 მან. ა. ყაზბეგის სასარგებლოდ და 5 მან. სასარგებლოდ დ. ბაქრაძის ფონდისა. ა. ყაზბეგისა აქამდე გვქონდა 218 მან., ამით შესდგა 223 მან.; დ. ბაქრაძის ფონდისა აქამდე გვქონდა 2002 მან. 49 კაპ., ამით შესდგა 2007 მან. 49 კაპ.

*** ვერაზე ერთი მეპურეა, გვარად ალლაძე. ამ მეპურეს ქალაქის ნაცვალმა ოქმი შეუდგინა წარსულ თთვის დასაწყისში, რომ ცუდს პურს აცხობდა და ნიხრის ფასებზე ძვირადა ჰყიდდა. ეს ოქმი ნაცვალმა წარუდგინა მომრიგებელს მოსამართლეს და თანაც სჩიოდა, რომ ალლაძემ ნიხრის განცხადება დახია და გადაყარაო, თანაც დაუმატა—მე რა მენიხრება, რა ფასიც ჩემი ნებაა, იმ ფასად უნდა გავყიდოო. მომრიგებელმა მოსამართლემ განიხილა ეს საქმე და ერთი მანეთი გადაუწყვიტა ალლაძეს ჯარიმა. ხოლო ქალაქის გამგეობამ ეს არ იყაბულა და გადიტანა საჩივარი ოლქის სასამართლოში, რომელმაც ამ თთვის 15 დაადგინა განაჩენი: ჯარიმა გამოერთვას ალლაძეს ოც-და-ხუთი მანათიო. ალლაძე ისეთი ღარიბი კაცია, რომ ამ ოც-და-ხუთის მანათისა თითქმის არც-კი რა გააჩნია თავისს სათორნეში. კარგს იზამდნენ ჩვენი მეპურეები, რომ ამისთანა მაგალითი დაიყენონ თვალ-წინ და დაჰმორჩილდნენ გარემოებას, რომელიც ეუბნებათ, რომ ცუდს პურს ნუ აცხობთ, თორემ მსყიდველიც ზარალშია და თქვენც ზარალში ხართ, რადგან კანონი ნებას არ გაძლევთ, ატყუოთ ხალხიო. აქამდის თუ დაუსჯელად ჩაუვლიდათ ხოლმე ხალხის მოტყუილება, დღეის იქით ამას ველარ მოახერხებენ, რადგანაც ქალაქის გამგეობას სამის ნაცვლის

მაგიერ ეხლა თითქმის ოცამდე ჰყავს ნაცვალი და ამ სახით ყველა უბანს სასტიკი მეთვალყურე ჰყავს ჩაყენებული. მაინც ალალად მოგებული ცოტაც ტკბილია და არმად მოგებული თავისს დღეში თავს ვერ დაიჭერს; ერთხელაც იქნება შხამად შეერგება მომგებს. ეს უნდა ჩაიხსომონ გულში ქალაქის მეპურეებმა და სინიდისიერად მოეპყრონ თავიანთს საქმეს, თორემ უბედურება ალლაძისა არავის აღარ ასცდება.

⁂ ქუთაისი: ბ-ნმა კ. მესხმა ქალაქის გამგეობისაგან მიიღო ბულვარის პავილიონში თეატრის მოწყობის ნება. ეს მშვენიერი პავილიონი მართლა რომ ლამაზ თეატრად გადაკეთდება და აგერ ერთი კვირაა, დიდი მუშაობა აქვს კიდეც კ. მესხს. როგორც ისა გვპირდება, ამ თთვის დამლევს დაიწყება კიდეც ქართული წარმოდგენები. მადლობას ვუძლვნით ქართულის თეატრის მოყვარენი ჯერ ქალაქის გამგეობას, რომ ეს გამოუსადეგარი პავილიონი არ დაიშურა ამ კეთილის საქმისათვის, მერე კ. მესხს, რომ სულ არ დაავიწყდა ქართული თეატრი.

⁂ სუფსა (რკინის გზის სადგური). რკინის გზის სადგურებზე საზოგადოდ ბევრგან ბევრგვარი უწესოება და ურიგობა ჰსუფევს, მაგრამ ამ მხრით სუფსას ცალი და ბადალი არ უნდა ჰყავდეს. ფოთიდგან მოსული ეტლები და მგზავრები ამ სადგურს უკანა მხრიდგან მოადგება. თუ დღე დაგირჩათ მგზავრობა, ხომ კარგი, ხოლო თუ ღამით მობრძანდით ამ სადგურზე, ბევრს უსიამოვნებას გამოივლით. უკანა ბაქანი ამ სადგურისა, საცა ეტლები ჩერდება, სრულიად გაუნათებელია და, რა-კი ეტლიდგან ჩამოხვალთ, აღარ იცით, საით უნდა წახვიდეთ. თუ რაზემე ფეხი არ წაიმტვრიეთ და სადგურის დარბაზში გეღირსათ შესვლა, იქ სიცივე ამოგართმევთ სულსა. ფეხის ადგილისას ხომ ნულარასფერს იკითხავთ. იქ, უსინათობას გარდა, წარმოუდგენელი და აუწერელი უსუფთაობა სუფევს. მართალია, ყველა სადგურზეა ეგრედ წოდებული საჩივრის წიგნი, რომელშიაც მგზავრს შეუძლიან თავისი კანონიერი უკმაყოფილება გამოაცხადოს სადგურის წესწყობილების შესახებ, მაგრამ განა ყოველთვის შესაძლებელია მოგზაურმა ამ საჩივრის უფლებით ისარგებლოს? შეიძლება მოგზაურმა წერა ერ იცის და, თუნდ იცოდეს, ხუთისა და ათის წუთის განმავლობაში რის ჩაწერა უნდა მოასწროს?! ამ ნაირად ეს წიგნი მოგზაურთა გაჭირვებას არაფერ წამლად დაედება და უმჯობესია, სადგურთა უწესოებას რკინის გზის გამგეობამ, მოგზაურთა უჩივლელად და უდრტვინველად, მიაქციოს ყურადღება.

თუ-კი ნატანების სადგურის უკანა ბაქანი არის განათებული, სადაც ოზურგეთიდგან მოსული ეტლები ჩერდება, სუფსის სადგურმა და ფოთიდგან მოსულმა ეტლებმა რაღა დააშავა? ვერ გაგვიგია, თუმცა ძნელი გასაგებიც არ უნდა იყოს.

⁂ ამ თთვის 15 სერგიევისა და ნაგორნის ქუჩაზე მცხოვრებელმა ვართან იოსიფოვმა პოლიცაში გამოაცხადა, რომ 14 ნოემბერს ჩემის სადგურიდგან 56 მანეთის ნივთეულობა მომპარესო.

⁂ ამავე დღეს, საღამოს, პოლიციის ქუჩაზე, ბათიევის სახლში, რეალურ სასწავლებლის შეგირდი ევგენი ბაქრაძე წაეჩხუბა თავისს ამხანაგს ვლადიმერ ცალქალამნიძეს და დანით მსუბუქად დასჭრა. დაჭრილი სამკურნალოში გაგზავნეს, დამნაშავე-კი შეიპყრეს.

---

„საქართველოს საექსარხოსოს სასულიერო მოამბეს“ უკანასკნელს ნომერში დაბეჭდილია გამოსამშვიდობებელი სიტყვა ტფილისის სემინარიის რექტორად ნამყოფის, აწ უკვე ეპისკოპოსის ნიკოლოოზისა ტფილისის სემინარიასთან. მოგვყავს აქავე ეს სიტყვაც:

### სიტყვა

გამოსამშვიდობებელი მისის ყოვლად უსამღვდელოესობისა, ალეუტისა და ალიასკის ეპისკოპოსის ნიკოლოოზისა, ტფილისის სასულიერო სემინარიასთან*.).

უფალმა ისურვა, საყვარელნო ჩემნო, რათა განვშორდე სამშობლოსა ჩემსა, თქვენ და ყოველსავე იმას, რაც-კი გულით მიყვარს, და წარვიდე სხვა ქვეყანაში, სხვა ერთან და სხვა საქმესა ზედა სამოქმედოდ. როგორც ჰხედავთ, ადვილი წილ-ხვედრი არ მომეგო!.. მორჩილებითა დავენდე რა წილხვედრსა ამას, სარწმუნოებით შევსცქერი მომავალს და ვსასოებ, რომ „არა შემოვიდეს ჩემდა ძვირი და გვემა არა მოეახლოს საყოფელთა ჩემთა“ (ფსალ. 90, 10), თუ არა იყოს ნება უფლისა, მარად კეთილისა და ყოვლად ბრძენისა!..

დიდად, დიდად მსურდა, რომ, ვიდრე სამშობლოს მიწა-წყალს დავტოვებდი, ერთხელ კიდევ მენახეთ ყველანი, გადაგხვეოდით და გულითადი ამბორი მეყო, მაგრამ სჩანს, რომ არც ესა მრგებია წილად. გონებით მაინც გაითვალისწინ-გაიყურისწინეთ ჩემი უკანასკნელი ამბორი და უკანასკნელი „მშვიდობით“-ი.

მშვიდობით მოვედ, საყვარელნო ჩემნო, თქვენთან და მშვიდობასა და სიყვარულსა შინავე მინდა დაგტოვოთ. ღმერთიმც იყოს მშვიდობისა და სიყვარულისა ყოველთა თქვენთა თანა! თუ ოდესმე უძლურებითა ადამიანისათა ვაწყენინე ვისმე, ვთხოვ, მომიტევოს და ძვირის გულით არ მომიხსენიოს. ღმერთი მყავს მოწმე, რომ არავისთვის და არასოდეს ბოროტი არ მომინდომებია: პირ-იქით, ყველასთვის მარად კეთილის ყოფასა ვიყავ მოწადინებული! ჩემის მხრივ, ვინც ჩემდა მომართ დანაშაულსა ჰგრძნობს რასმე, ყველასათვის ყოველივე შემინდვია და გულ-მოდგინედა ვსთხოვ უფალს, მოგვიტეოს ჩვენ შეცოდებანნი ჩვენნი ამა საუკუნესაცა და მერმისშიაც!

მშვიდობით, ტფილისის სემინარიავ! უფლის კურთხევამც იყოს შენზედა ყოველსა დღესა და წელსა შენის არსებობისასა! მოწაფენი შენნი იყვნენმცა თვისის სამშობლოს სიხარულად და ნუგეშად!.. შენთა კედელთა შორის აღიზარდნენ ისეთნი მწყემსნი და მწყემსთ-მთავარნი, რომ მხად იყვნენ, თავი თვისი ანაცვალონ ცხოვართა თვისთა, ერთად შეჰკრიბონ სამწყსო ყოველთა ცხოვართა მხოლოსა მწყემსთ-მთავართა თანა, ისინიც, რომელნიც ოდესღაც ძალ-დატანებითა და მლიქვნელობითა განშორებულ იქმნენ სამწყსოსა ამისაგან, რათა ყოველთა ერთითა ბაგითა და ერთითა გულითა თვისითა ადიდონ ერთი მხოლოდ ჭეშმარიტი ღმერთი და მაცხოვარი ჩვენი იესო ქრისტე!.. მშვიდობით, ტაძარო სიონისაო, მოწმევ და დამსწრევ ქართველთა ერის მრავალ-საუკუნოვანის დიდებისა და ტანჯვისავ! ვერ-ღა დაველტობი კამარათა შენთა ქვეშე და ვერ-ღა ვინუგეშებ საერთო ლოცვა-ვედრებითა მწყემსთა და მწყემსთ-მთავართა თანა შენთა! უფალმანცა განაძლიეროს და განამტკიცოს სვეტნი ზღუდეთა შენთანი! მშვიდობით შენცა, მოწმევ ყოველ დღიურის ლოცვისა ჩვენისავ, მშვენიერო ტაძარო სემინარიისაო! ფიქრთა შინა ჩემსა სიწმინდისა შენისა წინაშე მოვიდრეკ ფერხთა ჩემთა და ჩემსა ზედა მოვუწოდ სიფარველსა და კურთხევასა შენსა, ყოვლად კურთხეულისასა!..

მშვიდობით, საყვარელო საქართველოვ! არასოდეს არ დავიწყებ შენს სტუმართ-მოყვარეობასა! შენთა მთათა სიმაღლესა და შენისა მშვენიერის ბუნებისა წიაღსა ზედა ყველაზედ მეტად ვიგრძენ შემომქმედი ხელი დიდებულისა ხუროთ-მოძღვარისა. მოგესალმები და მძიმედ მოგიხრირი თავს. უფალმან განგაუხვოსმცა თვისითა წყალობითა, ცისიერითა და ქვეყნიერითა, და დაგიფარომსმცა რუსეთის ხელმწიფეთა თვითმპყრობელობასა ქვეშე მ რ ა ვ ა ლ ჟ ა მ ი ე რ!

მშვიდობით გეტყვით ყველას! თქვენთანამცა იყოს მშვიდობა უფლისა, რომელი აღემატება ყოველსა გონებასა და სიხარულსა სულისა წმიდისა მიერ! უფალმა მომცესმცა ღონე და ძალა, რათა ვლიდე ღირსებისამებრ ჩემისა ხარისხისა, რომლისათვისაც აწ მიწოდებული ვარ, და ღირსეულადმცა ვამყნო სიტყვა ჭეშმარიტებისა!

ნიშნად ჩემისა თქვენდა სიყვარულისა და წინდად ლოცვათა მიერ ერთობისა გიგზავნით ხატს წმიდისა ნიკოლოოზისასა. ამა სახელ-მოდგამმა ჩემმა წმინდამან დაგიფაროსმცა ყოვლისა ბოროტისაგან და მეოხმცა იყოს თქვენი უფალსა თანა უფლისა ტრაპეზისა წინაშე!

მშვიდობით, მშვიდობით! **)

*) ტფილისის სასულიერო სემინარიის რექტორად ნამყოფმა, აწ უკვე მისმა ყოვლად უსამღვდელოესობამ, რადგან სასულიერო სემინარიის მოწაფეებთან გამოთხოვება ვერ მოასწრო, ტფილისში გამოგზავნა ნიშნად სიყვარულისა და ლოცვათა მიერ ერთობისა წმ. ნიკოლოოზის ხატი, რომელიც 27 ოქტომბერს დილის დღესასწაულით ნაკურთხ იქმნა, და აგრეთვე გამოსამშვიდობებელი სიტყვაც, რომელსაც აქავე ვბეჭდავთ. ეს სიტყვა 31 წასრულს ოქტომბერს მოსწავლეებს წაუკითხა სასულიერო სემინარიის ინსპექტორის თანაშემწემ მღვდელ-მონაზონმა მიტროფანემ და მანვე აკურთხა წმ. ხატით მასწავლებლები და მოსწავლენი.

**) ეს უკანასკნელი სიტყვები მისს ყოვლად უსამღვდელოესობას დაწერილი აქვს რუსულის ასოებით, მაგრამ ქართულის სიტყვებით-კი.

შენიშვნა „სას. მოამბეს“ რედ.

---

# ფელეტონი

## რა არის ქალი?

რა არის ქალი?
კაცის ფერცხალი,
სატრფოს-საშენად დანაბადია,
კეკლუცი, ნაზი,
მეტად ლამაზი,
შემკული, ვითარ წალკოტს ვარდია;
მისი ხატება,
ჰაეროვნება
თვით ანგელოსის მსგავსებადია;
მაგრამ ჰე, ჭირი
მით არს დუხჭირი,
რომელ მარტივით ცვალებადია;
გონება მყარი,
სათნო და წყნარი,
სიყვარულის ტბას აღმოშობილი,
ერთგული ქმრისა,
შინა საქმისა,
ქმრის თანამშრომლად გამოხმობილი,
კეთილის ზნისა,
დედა სახლისა,
ოჯახის ბურჯად დადგინებული,
ტკბილ-მოუბარი,
არ რაში მცდარი,
სიამის მფენად მოწოდებული!
ამ სანატრისზე
მაღალს ხარისხზე
აღუყვანია განგებულებას,
მაგრამ მით ვსჩივით
გულის ტკივილით,
ძნიად ასრულებს დანიშნულებას.

თ. ნ. ვეზ—შვილი

## პავლიასტოვის ტბა

(ამბავი გურულ გლეხის ცხოვრებისა)

(შემდეგი. იხ. „ივერია“ 244)

### III

ერთი „ნოყო“-ს (პატარა მდინარე) პირზედ იდგა ერთი კარავი, რომელსაც ზედ ეტყობოდა, რომ მარჯვე და მოხერხებულ მუშა კაცის ხელს გაეკეთებინა,—კარგის წკნელით მაგრად დაღობილი, ზედ ფიცრის კარი, რაც შეიძლება, ისლით კარგად დახურული, აქეთ-იქით სუფთა წკნელისაგან დაწნული, ტახტისებურად გაკეთებული საწოლი,—ერთის სიტყვით მთელს ამ ტყეში იშვიათი იყო ასეთი კარავი. ეს კარავი ეკუთვნოდა გლეხს, ივანეს, რომელიც თავისის თექვსმეტის წლის ვაჟით, ნიკოთი, ჩამოსულიყო და მუშაობდა ტყეში. ივანე ორმოც-და-ხუთის წლისა იქნებოდა; ის იყო საშუალო ტანისა, ბეჭებ-განიერი, სწორის, სასიამოვნო შესახედავის პირის-სახისა, რომელზედაც სიმამაცე და გამბედაობა ემჩნეოდა. ივანე დიდად წვრილშვილი კაცი იყო—ჰყვანდა ორი ვაჟი დ შვიდი ქალი; ამათში უფროსი ნიკო იყო, ნიკოს შემდეგ გასათხოვარი ქალი და დანარჩენები ისე მცირე წლოვანნი, რომ ჯერ ჭამის გარდა, არაფრის გაკეთება არ შეეძლოთ.—რომ ოჯახი და შვილები ერჩინა, ივანეს მხრივ მოუსვენარი შრომა იყო საჭირო; აი ამ მოუსვენარს შრომას უნდა მიეწეროს, რომ ივანეს წვერულვაში ისე ჰქონდა გათეთრებული, როგორც ორმოც-და-ათის, ან სამოცის წლის კაცს შეჰფერის. თუმცა ივანე მოხუცობას არ იმჩნევდა, მხნედ და ჯანიანად გამოიყურებოდა, მაგრამ ხანდახან-კი წამოსცდებოდა ის, რასაც თავისთვის ხშირად ჰფიქრობდა: „თავს არ ვუტყდები, თორემ მოვხუცდიო“. მეზობლებში ივანე პატივცემული იყო თავის ჭკუის, პატიოსნების და სიმარჯვისა გამო. რადგანაც ოჯახს შედარებით გვარიანადა და კარგად ინახავდა, მეზობლებს ისიც ეგონათ, რომ ივანეს ვაჟკაცობის დროს შენაძენი ფული აქვს შენახული და გაჭირვების დროს ცოტ-ცოტაობით ჰხარჯავსო. ცულის ხმარება ივანემ კარგად იცოდა და ამიტომაც ხშირად გაიგონებდი ტყეში მომუშავე მუშებში: „ძმავ, ხეები ივანიკას რომ აქ, იმას ჰქვია, დურგლის გათლილს ჰგავს! რა გასაკვირველია, რომ იი კაი ფასათ გეიყიდოს!“ ამ წელს ივანემ მეტადრე ადრე დაიწყო მუშაობა და კარგა ბლომადაც დათალა ხე, რადგანაც ცოტაოდენს ნიკოც ეხმარებოდა. საღამოობით ივანე ნიკოს ადრე გამოუშვებდა ვახშმის გასაკეთებლად და თითონ-კი დაბნელებამდე მუშაობდა. მერე, როცა დაბრუნდებოდა კარავში, მოუჯდებოდა ცეცხლს, დაიტეხდნენ მამა და შვილი „ჩახანაში“ (თუჯის კარდალი) გამომცხვარს მჭადს, თუ ხსნილი იყო, ხმელს ყველს მიაჭმევდნენ ზედ, თუ მარხვა—„სუნელს“ *). ხან ივანე თევზსაც იჭერდა, გარეულს ღორსაც ჰკლავდა (ივანე კარგი მონადირე იყო), თუმცადა-კი ძლიერ უჩიოდა: „გამეილია ამ დასაქცევ ტყეში ყოლიფერი? უწინ დილიდან საღამომდე რომ „სამძირს“ (უძაღლოდ ერთის კაცის ნადირობა) წავსულიყავი, ირემს გავაგორებდი, თებზით ნავს დავლაღავდი! ახლა ირემი ქე მეისპო, თებზი წყალში გამეილია! ერთი კვირე უნდა სდიო და კიდევ კაი ბიჭობაა ერთი ჭვირთი თებზი, ან ხორცი რომ იშონო კაცმა“-ო.

ერთს საღამოს ივანე ადრე დაბრუნდა კარავში და დიდს ხანს ესაუბრა თავისს ნიკოს:

— იცი, ბიჭო, ნიკო, ღმერთმა თუ ხელი მოგვიმართა და არაფელი გამოგვეკრა, ავადმყოფობა, ან რამე, წრეულს ძაან საქმეს ვიზამთ, ძაან დავთალეთ ხეები! იი ციცაის „მგვზითი“ რომ არ მქონდეს საყიდლად, ამ ხეების ფასით მებატონესაგან მიწას დევიხსნიდი, თავს გევითავისუფლებდი. ჰეი, ერთი იმ „ნადელის“ გადასახადს მომაშორა და მომკლა, აღარ ვჩივი! მეზობლები სულ იმას მიჩივიან: „შენისთანა შეძლებული ვინ არის, თავს რეზა არ ითავისუფლებო“. ჰგონიან, რომ ფული მაქ. თავი გევითავისუფლო და ცოლ-შვილი შიშველ-ტიტველი დავყარო, ამას ვერ ვიზამ და ისე ყოლიფერს აღარ ეყო ერთი კაცის მკლავი. წრეულს იმ „ციცაის“ გათხოვას მოვრჩები... იი დასაქცევი, თლათ წახდა დროი: ვაჭარ ურიასავით მარტო ფულისკენ უჭირავს ყველას თვალი, მოწიფულს კაცს მაქამდულა გული აღარ უძგერის მკერდ-ქვეშ. ჩემ შვილობით არ ვიტყვი და ჩემი „ციცაი“, მატაი, რომ უწინდელს დროში ყოფილიყო, „მგზვითი“-კი არა, პირ-აქეთ დეიხარჯებოდენ იმის ცოლათ შერთვაში, ჩვენ მუხურში იმისთანა ქალი ორიც არ მეიძებნება. ახლა მისი წონა „მგზვითი“ თუ არ დავაყარე თავზე, შინ უნდა დამიბერდეს. დაბერებას ვილა ჩივა, ვინმე შემირცხვენს, იი ოსიკელაის ციცას რომ უგვირგვინოს შვილი აყოლეს, ისე... წრეულს აი, ერთი საქმე შევასრულოთ,—რაც ამას მორჩება, გადასახადებს და ბალნების დამოსვას მოუნდება...

*) „სუნელს“ ასე ამზადებენ: დანაყვენ ერთად ნიგოზს, ნიორსა და მარილს. ტყეში მოსიარულე კაცი წაიღებს ამას თან მისაჭამადად, რადგანაც ადვილი სატარებელია და ცოტაც ჰყოფნის ადამიანს. გარდა ამისა, „სუნელი“ თევზისა და ხორცის გასაკეთებლადაც ვარგა, როგორც საწებელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ფოთი და იმისი ამბები.

ამას წინად სრულიად მოულოდნელად ფოთისაკენ მომიხდა, გამგზავრება, სადაც რამდენსამე დღეს დავრჩი და აი, რაც ერთის თვალის გადავლებით შევნიშნე, მინდა გაგიზიაროთ.

სუფსის სადგურზე თავი დავანებეთ მატარებელს და გადავსხედით ერთს ადამის დროინდელს დილიჟანსში, რომელიც სრულიად დაფლეთილი და აქა იქ ბაწრით მიბლანდულ-მობლანდული იყო. მაგრამ რაც იყო, ის იყო. დაწუნებ-მოწონების ადგილი სადღა ჰქონდა, როცა მეტი ჩარა არ იყო, გინდოდა თუ არა, ალალ-ბედობაზე უნდა მიგეგდო შენი სიცოცხლე და ამ ხოხოლა დილიჟანსით გემგზავრა ფოთამდე. მოვიდა წასვლის დრო. ჩვენმა მეეტლემ ბლომად იშოვა მგზავრები, ასე რომ დილიჟანსი სულ გაიჭინკა და ამის გამო, ცოტა არ იყოს, ვამაგრლა კიდეც.

გადვიწერეთ პირ-ჯვარი და შევუდგით გზას. ჩვენი ეტლი დიდის ჭაპანწყვეტითა და ვაი-ვაგლახით მილახლახებდა. ცხენებიც თითქო ეტლის შესაფერი შეერჩიათ: გამხდარი, ბებერი და დარეტიანებული, ფეხებს ძლივ-ძლიობით მიათრევდნენ. ჩვენ ეტლისა და ცხენების სიწამხდრეს ვუჩიოდით და გზის სიწამხდრემ ყოველივე ეს დაგვავიწყა. არც ერთი ბოგირი არ შეგვხვდა ისეთი, რომ თითო-ოროლა ფიცარი არ ჰკლებოდეს. ამ გარემოებამ ჩვენი უიმისოდაც ხიფათიანი მგზავრობა უარესად გააძნელა და დააგვიანა. კიდევ კარგი, რომ მეეტლე მარჯვე კაცი გამოდგა. ორი ფიცარი წამოეღო თან და ამ რიგად ერთსა და იმავე დროს მეეტლობასაც გვიწევდა და გზის ინჟენერობასაც. როცა რომელსამე ბოგირს დავუახლოვდებოდით, დილიჟანსს გააჩერებდა, გადმოხტებოდა ძირს, თავისს ფიცარს დაადებდა, სადაც საჭირო იყო, გაგვიყვანდა მეორე მხარეს, აქ კიდევ გაგვაჩერებდა, თავისს ფიცრებს წამოიღებდა მეორე ბოგირისათვის და ამ რიგად გვატარა ორის საათის გზა მდ. მალთაყვამდის სამის საათის განმავლობაში. ბოლოს იპრიანა ღმერთმა და მივაღწიეთ მალთაყვას. სუფსიდამ წამოსული დილიჟანსი აქვე დარჩა. ჩვენ ბორანით გავედით ამ მდინარის მეორე ნაპირს, სადაც მეორე დილიჟანსი გვიცდიდა. ახლა ამაში ჩავსხედით, მაგრამ „ვაის“ „ვუი“ დაემატა. აქ დილიჟანსიც უარესი დაგვიხვდა, ცხენებიც, მეეტლეც და გზაც. შევავედრეთ ღმერთს ჩვენი სიცოცხლე და გავსწიეთ. გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვი, რომ ამ გზაზედ და მერმე კიდევ ასეთის ეტლით სიცოცხლე დაუზღვეველ კაცს არ ემგზავრება-მეთქი.

აქ ერთად-ერთი ნუგეში მოგზაურისა ისაა, რომ გზა ზღვის პირად მიჰყვება. მეტადრე თუ კარგი დარია, აქაურობა კარგი სანახავია. ჩვენის მოგზაურობის დღეს დარი ჩინებული იყო. მოკრიალებული ცა და მოკამკამებული ზღვა, თითქოს საიდუმლო ალერსსა და საუბარში არის ერთმანეთთანაო, დიდებულს სურათს წარმოადგენდა.

აგერ, მარჯვნივ გამოჩნდა ზღუდე-შემოვლებული, ნაირ-ნაირის ყვავილითა და მცენარით შემკულ-დამშვენებული ვეებერთელა მიდამო. ეს ფოთის სასაფლაოაო, მითხრეს. ჩემს დღეში ასეთი განიერი სასაფლაო არ მინახავს. შავს ზღვას თვალი მოვარიდე, მაგრამ შავს ფიქრებს მაინც ვერ დავაღწიე თავი. ამ სასაფლაოს ნახვამ სწორედ მოსვენება დამიკარგა. როგორც მიცვალებულთა ძეგლი და საფლავის ნიშნები ამტკიცებდა, ამოდენა ადგილი ავსებით სავსე იყო საიქიოს გამგზავრებულის ადამიანებით. ფოთი არც ამდენად ძველი ქალაქია, ვფიქრობდი, და ამოდენა ხალხმა როდის მოასწრო სიკვდილი, მაშ ფოთში ცოცხალი აღარავინ დაგვიხდება მეთქი და სხვ.

ამ ფიქრებით შევედით ამ ფოთად წოდებულს ქალაქში. სამწუხაროდ, ჩემი წინასწარი გრძნობა მართალი გამოდგა. სიჩუმესა და უსიცოცხლობას ფოთი და ფოთის სასაფლაო ერთმანეთს ვერ დააყვედრის. ბევრჯერ გამეგონა და წამეკითხა „ფოთში ამ ჟამად დიდი შფოთიაო“. ხანდახან ზღვა თუ აღელდება და აშფოთდება, იმისი რა მოგახსენოთ, ხოლო თვით ფოთისა და იმის მკვიდრთა სიცოცხლე არც შფოთავს და არც ღელავს. მერმე მე კიდევ ისეთს დროს მომიხდა ამ ქალაქის ნახვა, რომ ბაყაყებსაც გათავებული ჰქონდათ თავიანთი სეზონი.

გავიარ-გამოვიარე ფოთში იმ აზრით, რომ აგებ რაიმე მოძრაობას, რაიმე სიცოცხლეს წავაწყდე-მეთქი. ვნახე რამდენისამე მილიონის ჩამყლაპელი და აწ გროშად არ ღირებული ნავთ-სადგური, არა, ნავთ-სადგური-კი არა, ნავთათვის საშიში და სახიფათო ზღვის ყურე. ვნახე მივიწყებულ-მიყრუებული რკინის გზის სადგური, რომელიც ბერების სენაკებს უფრო ჰგავს, ვიდრე რკინის გზის სადგურს. ვნახე წითელი ხიდი, რომლის ნახვისათვისაც (შორიდგან) არაფერს იხდევინებიან, ხოლო ქვევითად გარებ-გამორება-კი ორი კაპეიკი ღირს. ვნახე ძმათა ნოდიების ქართული (და არა მეგრული) წიგნის მაღაზია, რომელშიაც, სულს ვერ დავწვავ, წიგნები ძვირად საპოვნელია. ალბად არ არის ფოთში ქართულის წიგნების მოთხოვნილება, თორემ რით უნდა აიხსნას, რომ წიგნის მაღაზიაში წიგნი არ იყოს? ამასობაში ფოთელები ნოდიებს უსაყვედურებენ, რატომ ყველა ქართული წიგნი არ გაქვთ გასასყიდიო, ხოლო ნოდიები კიდევ ფოთელებს უჩივიან, რაც დაგვიბარებია, ის წიგნებიც არავის გიყიდიათ და ახლებს რაღა ეშმაკისა და ქაჯისათვის გამოვიწერდითო. რომელია მართალი—ფოთელები,'თუ ნოდიები, ეს ალლახმა უწყოდეს! ერთის შეხედვით ისე გამოდის, რომ ორივე მართალია, მაგრამ ისიც ხომ მართალია, რომ ორს მოპირის-პირეთა შორის ერთი უსათუოდ მტყუანი იქნება. ესენი თუ არც ერთი მტყუანი არ არის, მაშ მე ხომ არა ვარ მტყუანი, ან თქვენ მკითხველო? არა, რაც უნდა სთქვან ფოთელებმა, იმის წინაღმდეგ ხომ ვერაფერს იტყვიან, რომ ნოდიები თავის თავის მტერნი არ არიან. თუ-კი წიგნს ფოთში გასავალი აქვს და ნოდიები არ იბარებენ, ეს ვის აკლდება, ნოდიებსა თუ ფოთელებს? მაშ ვინ არის მტყუანი? რასაკვირველია, ფოთელები, რომელთაც წიგნი საიქიოს არაფრად გამოადგებათ და ესარგებლებათ, ხოლო სააქაოსკენ-კი პირი აღარა აქვთ.

იქვე ვნახე ბ-ნის სულაქველიძის მიერ შედგენილი „სიმრთელის კიდობანი“ (კიდობანს შედგენა უნდა, თუ აშენება? მაგისი-კი რა მოგახსენოთ!), რომლის წინასიტყვაობამ მიიქცია ჩემი ყურადღება. აქ შემადგენელი, ეგ მეორე ნოე კაცობრიობისა, გულ-მტკინვეულად გვეუბნება, რომ, როცა ამ სამკურნალო წიგნს ვადგენდი, დაბალი, უვიცი ხალხი მყავდა სახეშიო. ეს სიტყვები იმდენად თანასაგრძნობი და გულ-მოსახვედრი სიტყვებია, რომ ამ სულაქველიძის მიერ ქმნილს „კიდობანს“ კიდის-კიდემდე მოგარონიებს და გაგაჩხრეკინებს, მაგრამ პირ-კატა-ცემული-კი დარჩები. რათაო? იკითხავთ. რათაო, ბატონო ჩემო, და მათა, რომ დაბალის ხალხისათვის შედგენილს წიგნს ორი ღირსება უსათუოდ უნდა ჰქონდეს, თუ უნდა თავის დანიშნულებას მიაღწიოს. პირველი ისა, რომ წიგნი მდაბიო და გასაგების ენით უნდა იყოს დაწერილი და მეორე ისა, რომ იაფ და ხელ-მისაწვდენ ფასად უნდა იყიდებოდეს. „კიდობანი“-კი ამ ორსავე ღირსებას მოკლებულია. ენა იმისი დაბალმა ხალხმა-კი არა, შეიძლება, მაღალმაც ვერ გაიგოს. ამას გარდა, ფასი ამ წიგნისა-მანათი, როგორც გინდათ სთქვით, და დაბალის ხალხისათვის მეტის-მეტად დიდია, მით უფრო მაშინ, როცა ბ-ნს სულაქველიძეს, როგორც თვით „კიდობანში“ სწერია, რამდენიმე თუმანი წინდაწინ შეუგროვებია ხელ-მოწერით. წიგნის დასტამბვა და ქაღალდიც აგრე ძვირად არ დიუჯდებოდა, ასე რომ წიგნის ფასად ათი შაური სრულიად საკმაო იყო. ამ ფასად წიგნი უფრო მეტი გასაღდებოდა და შემადგენელს შეეძლო, მეორედ გამოეცა უფრო შევსებულ-შესწორებული...

ფოთის თითქმის ყველა დაწესებულება დავიარე და ვნახე, მაგრამ ფოთის საზოგადოებას თვალი მაინც ვერ მოვკარი. ბოლოს ძლივ-ძლიობით გავიგე, რომ აქაური საზოგადოება, ორ დასად არის გაყოფილი. ერთი დასი დადის კლუბში და მეორე—კრუჟოკში. კლუბის და კრუჟოკის წევრთ დღე-დღეობით სძინავთ, ღამ-ღამეობით კლუბსა და კრუჟოკში იკრიბებიან. იქ „ტანცაობენ“, ქაღალდს თამაშობენ, ბილიარდს შეექცევიან, „Стрекоза“-ს კითხულობენ, ლიმონადს და სელტერის წყალსა სვამენ, ჯიბე-სავსენი შედიან, ჯიბე-ცალიერნი გამოდიან, და ამას გარდა, კიდევ ჭორიკანაობენ. ამ უკანასკნელს საქმეში ერთი მანდილოსანი უფრო დახელოვნებულა თურმე; სხვას რომ თავი დავანებოთ, ეს პატივცემული მანდილოსანი ქართველებს შემდეგს დარიგებას აძლევს თურმე: ქართულს წიგნსა და ჟურნალ-გაზეთს ნუ წაიკითხავთ, ქართულს წარმოდგენებზე ნუ დაესწრებით, ქართულს ტანისამოსს ნუ მიიკარებთ და ქართულად ნუ ილაპარაკებთო და სხ. არ ვიცით, საიდგან შეჰყრია ამ ქალს ყოველისავე ქართულის სიძულვილი და ამ სენით-კი რომ სნეულია, ეს აშკარაა. ღმერთმა ჰქნას, რომ იმისი

---

— ბაჟი რომ არა გვქონდეს გადასახადი, რაც ხეები დავთალეთ, სულ ჩვენი რომ იყოს... გააწყვეტინა ნიკომ თავისს მამას სიტყვა.

— ჰმ!.. ბაჟით რომ არა მხთიდენ სულს!.. წმინდამა გიორგიმ ბექვა არ გამოუწყვიდა მის ოჯახს, ვინც ჩვენ საბაჟოთ გაგვიხადა საქმე!—ჯავრმოსვლით დაიწყევლა ივანე,—ეი, ჰაი, ბიჭო, სად არის პირი და ერთობა! ჩვენსავე მოძმეებს რომ არ ეღალატია, ვის რა ხელი ქონდა ჩვენთან! მარა ღალატი და უპირობა! ჰმ... მაშვინ რომ ფხარიდან არ გამოგვშლოდენ!.. მოატყუეს უბედურები, აღალატებიეს და მერე თვითან უღალატეს. ყაძახს ყოლი კაცი მოატყუებს. ყაძახმა რომ ერთ-პირობა იცოდეს და ერთქამეთის ფხარის მიცემა, მაშვინ... მარა ყაძახი უსტავლელია და უსტავლელს ყველა ატყუებს... იცი, ნიკო, წრევანდელი რავაც გვითქვამს, ისე მევიხმაროთ. ამ გაის ძაან ადრე ჩამოვიდეთ, მაშვინ შენც კარქა შეგეძლება მუშაობა და ერთი იი ბატონი მევიშოროთ თავიდან. მენადელე კაცი ბატონის ყმაია. იფიქრე, ერთი რომ უცფათ ფეხი გამეშალოს, ჩემს ობლებს ნადელის გადასახადში დააწინდრებენ! ღმერთო, შენ მომიწყვე ხელი!

— მოვკტით, მამავ, ყველა ზამთარში ტყეში გდებით, რა იქნა, ძაღლი ხომ არ ვართ! ერთი მევისვენოთ! უკმაყოფილოთ უპასუხა მამას ნიკომ.

— მოსვენება კაია, შვილო, მარა ვინ მოგვასვენებს! მებატონეს, ღვდელს, ხენწიფეს, ოჯახს, მტერს, მოყვარეს, ყველას პასუხის გაცემა უნდა. ძნელია მუშის უღელი!

ნიკომ შეჰხედა მამას და ნაღვლიანად ამოიოხრა. ნიკო ქერა ყმაწვილი იყო, ქალივით ნაზის აგებულობისა და ამიტომ ძლიერ უჭირდა შრომის ატანა. მამა ატყობდა ნიკოს, რომ მძლავრს მუშაობას ვერ აიტანსო და ამიტომ მოინდომა მისი სწავლაში გაზრდა. ერთს ხანს სოფლის სკოლაში ჰყავდა, მერე საქალაქო სასწავლებელში წაიყვანა; ნიკომაც კარგის სწავლის ნიჭი გამოიჩინა, პირველ შეგირდად ითვლებოდა თავისს ამხანაგებში. მაგრამ ივანემ ვეღარ შეიძლო შვილის სკოლაში რჩენა და პირველის კლასიდგანვე გამოიყვანა და ნიკო, რომელსაც, თუმცა, აგერ სამი წელი იყო, რაც ის სკოლას მოაცილეს, მაგრამ წიგნის კითხვის სურვილი მაინც არ გაჰქრობოდა. იპოვნიდა თუ არა თავისუფალს დროს, წიგნში ჰქონდა თვალი. ივანეც ძლიერ დარდობდა ნიკოს სწავლაზე მოთეშას:

— წევიწყმიდე სული, შენ რომ კლასს მოგაშორე. ახლანდელ დროში უსტავლელი კაცი უღლის ხარია, მეტი არაფერი, იტყოდა ხოლმე ივანე, როცა ნიკოს წიგნს დაუნახავდა ხელში, მაგრამ რა ექნა? ვეღარ შესძლო ამ დროულმა კაცმა მძიმე უღლის წიკვა და უფროსი შვილი ამოიქენა გვერდში. თავისის ფიქრით, ივანე უმცროს ვაჟს უპირებდა სწავლაში გამოზრდას, მაგრამ ამით ნიკოს სწავლაზე მოთეშის დარდი არ უმსუბუქდებოდა.

— ასეა, ნიკო, ასე, ყაძახის საქმე... ივანეს უნდოდა სიტყვა განეგრძო, მაგრამ ამ დროს მასთან შევიდა მისი მეზობელი გიგოია და უთხრა:

— შეიტყვე, ივანე, რა საცოდაობა ქნილა? წუხელი რომ დიდი ქარი იყო, ზალიკაიას კარავთან მუხა მუუგლეჯია, დუურტყამს კარავზე და ორივე აფხანაგები,—ზალიკაიც და სიმონიკაიც, გუუჭყლეტია! ნეტაი დასამარხათ მაინც ეშონა კაცს მკვტარი! რას ქვია, მოჰკიდია „ცეხლი“ და რავაც თაფლის სანთელი, ესე გამომწვარა ორივე! რაღა ეშველება მათს ცოლშვილს! ნეტაი მაინც იმდონი ობლები არ დარჩენოდენ, ერთსაც და მეორესაც ნაცარი საფსე ჰყავს ბაღნებით!

— ვაი საწყალო, ვაი საწყალო!—შემოირტყა ივანემ თავში ხელი,—გუშინღამ რომ გამევიარე, ვუთხარი: ბიჭო, აი მუხა დროზე მოსჭარით, თუ არა კას არ იზამს-მეთქი. ვაი, რა ცოდვა დატრიალებულა, ერთმა მეორეს რომ ცეცხლი მოაფსოს ტანზე, იმისთანაი არ დარჩენია არცეთს, შიმშილი დახოცს! მოდი ახლა და ჩვენს სიცოცხლეს სიცოცხლე დუუძახე!...

— ნეტაი ეძინენ, თუ რეზა ვერ გაასწრეს? იკითხა ნიკომ, რომელსაც შეშინებულის სახე დაედო ამ ამბის გაგონებაზე.

— იგი ვიღამ იცის, მოამბე კაცი რომ აღარ გადარჩენილა, თქვა გიგოიამ.

ერთს ხანს კიდევ ილაპარაკეს ივანემ და გიგოიამ, თუ როგორ შეატყობინონ „ზეგანში“ „იმ ცოდიშვილების“ ცოლ-შვილს და მერე გიგოია წავიდა თავისს კარავში.

— ამ...—წამოიძახა ივანემ მწარედ,—ასეა უბედური მუშა კაცის საქმე: მუშაობს, ფაცურობს, აი იქით, აი აქეთ, გეიხედავ და ჩაკვტება საცხა, რავაც მწერი, ისე! ვინ შეიტყობს, რამდენი ზალიკაი, სიმონიკაი, გოგიეი ამ კუთხეში ჩაკვტება, რამდონი სხვა კუთხეში და რამდონი სად! რა არის ჩვენი სიცოცხლე!...

დიდ-ხანს ილაპარაკეს იმ ღამეს მამა-შვილმა. გაიხსენეს ყველა, ვინცკი იმ წელს მათს სოფელში, ან სხვა ახლო-მახლო სოფლებში ფათერაკად მომკვდარიყო,—ვიღაც გოგია, რომელიც ხეს სჭირდა, ვერ გაიგო ხის წაქცევა და ხემ გასჭყლიტა; თედორიკა, რომელსაც სიმინდის დატეხის დროს სავსე „ნალიას“ (სასიმინდე) ქვეშ დაეძინა, ნალია წაქცეულიყო და ცოლიან-შვილებიანად გაესრისა; პავლია, რომელიც ნიგოზის (კაკლის) ჩამორეკის დროს ხიდან ჩამოვარდა, თავი კვერცხსავით გაეთქვიფა და, რა თქმა უნდა, მოკვდა. პეტრიელაის ექვსი წლის ქალი, რომელიც მშობლებმა სახლის მცველად დასტოვეს, უცბად ცეცხლი მოეკიდა ტანსაცმელზე და დაიწვა; მასიკელაი, ოცის წლის ბიჭი, რომელიც ერთს ღვდელთან მოჯამაგირედ იდგა, წყალ-დიდობას სხვაგან გაგზავნეს და დაირჩო; ვიღაც გოგიელაი, რომელმაც ოჯახის რჩენა ვეღარ შეიძლო და თავი მოიკლა; სამი ბავშვი, რომლებიც იმ დროს, როცა მათი მშობლები ყანაში იყვნენ, ცოფიანმა დაჰგლიჯა, ერთი მათგანი (უმცროსი) მაშინვე მოკვდა, მეორე გაცოფდა და მესამე გადარჩა, მაგრამ დამახინჯებულია,—ცალი თვალი ამოგლეჯილი აქვს, ბაგე გახეული და ხელი გაფუჭებული. ერთი ძუძუს ბავშვი, რომელსაც იმ დროს, როცა დედამისმა სადილი წაუღო ყანაში და ის აკვანში ჩაკრული დასტოვა, გველი მოეხვია ყელზე, დაკბინა და გამოუთქმელს ტანჯვაში დალია სული.

კიდევ ბევრს ასეთებზე ილაპარაკეს, ასე რომ შუა ღამეზე გადასული იყო, როცა დაიძინეს.

ე. ნინოშვილი

(დასასრული იქნება)

სენი გადამდები არ აღმოჩნდეს და ისინიც არ დაავადნენ, რომელთ ბედნიერებამდეც ამ ქალს თავისი მძლავრი ხელი მიუწვდება!...

ზემოდ ვსთქვით, რომ ფოთის საზოგადოება ორ დასად არის გაყოფილიო. ეს მაღალის საზოგადოების შესახებ ითქმის. ხოლო მაღალს საზოგადოებას გარდა, ფოთში დაბალი საზოგადოებაც არის და სწორედ ამ დაბალთა სიმდაბლეზეა მაღალთა სიმაღლე დაფუძნებული, თორემ ამათში სხვა განსხვავება ძნელად მოიპოვება. ეს დაბალი საზოგადოება დაბალს საქმეებშია გართული: დროს გასატარებლად (იმათი დროს გატარება ხომ პურის ჭამაა) „Золотой Якорь“-ის (სასტუმროა) ქვეშ იკრიბებიან, სადაც „ყარვი ბორშს“ და „ყარვი კატლეტს“, და იმასაც, ვინ იცის რამდენის ხნისა და კვირისას, შეექცევიან; რუსულად იგინებიან, სომხურად ყბედობენ, ქართულად სალამს იძლევიან და მეგრულად საიდუმლო გულის პასუხს უზიარებენ ერთმანეთს.

ესეც ფოთი და იმისი ამბები ერთის თვალის გადავლებით... სათქმელი ბევრი დამრჩა და უთქმელი-კი არა მითქვამს-რა, თუ, რასაკვირველია, ამაზე ფოთელებიც დამეთანხმებიან.

დათიკო ვერმიცანაშვილი

---

# რუსეთი

თანდათან უფრო და უფრო სამწუხარო ამბები მოდის შესახებ რუსეთის დამშეულ გუბერნიებისა. ყველაზე დიდი იმედი ხალხის გამოსაკვებად სამუშაოებისა ჰქონდათ, მაგრამ ეხლა ამ სამუშაოსაც ვეღარა შოულობენ. ფინანსთა სამინისტრომ ფულით დახმარება მხოლოდ იმათთვის განიზრახა, ვისაც არ შეუძლიან შრომით თავის რჩენა. შრომის შემძლეთათვის-კი მარტო სხვა-და-სხვა შეღავათი დაწესდა, მაგალითად უსასყიდლოდ პასპორტის მიცემა, ნაკლების ფასით წაყვანა რკინის გზებითა დ სხვა. ამ გვარმა შეღავათებმა ჯერ-ჯერობით სიკეთე ვერა მოიტანა-რა. მიზეზი ამისა ისევ მოუსავლობაა: სამუშაო ყველგან ძლიერ ცოტაა და, მაშასადამე, მუშებიც არა სჭირდებათ. თვით საზოგადო სამუშაოებმაც-კი ბევრი ვერა გააწყო-რა. და ან რა უნდა გაეწყო, როდესაც ამ გვარი სამუშაო ძლიერ ცოტაა. სახელმწიფო მამულებში ტყის გასაშენებლად დაზარალებულს გუბერნიებში 200,000 მანათზე მეტი არ არის გადადებული. გზების შესაკეთებლადა და გასაკეთებლად კიდევ გადადებულია მხოლოდ 1,125,000 მანათი. ამ სახით საერთოდ საზოგადო სამუშაოებისათვის გადადებულია არა უმეტეს $1^1/_2$ მილიონისა და აბა ეს ფული რა უნდა გაუხდეს და ზურგი როგორ უნდა გაუმაგროს აუარებელს დამშეულს ხალხს? ეს ხომ ასეა, მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ ფულსაც ჯერ ხალხამდე არ მიუღწევია. მუშაობა აქაიქ მხოლოდ ეხლახან დაიწყეს, ხოლო მომეტებული ნაწილი სამუშაოებისა გაზაფხულზე ადრე არ დაიწყება, რადგან შესაძლებელიც არაა იმაზე ადრე დაწყება. როგორც ოფიციალურის ცნობებიდგანა სჩანს, რკინის გზის გასაყვანად დაქირავებულ მუშათა რიცხვი ამ ორიოდ კვირის წინად მხოლოდ $9^1/_2$ ათასი იყო. აპირობდნენ კიდევ $4^1/_2$ ათასის დაჭერასაც, მაგრამ რა უნდა გამოვიდეს ამ ათასებიდგან, როცა გაჭირვებულთა რიცხვი მილიონებია. ეს კიდევ არაფერი: მიწის სათხრელად ძალიან ღონიერი, ჯანსაღი, გამძლე კაცია საჭირო და გაურჩევლად მუშის დაქირავება არ შეიძლება. ამიტომაც იმ დაქირავებულ მუშათა შორის მეტი ნაწილი უფრო იმ გუბერნიებიდგან მოჰყვა, სადაც ისე რიგად არ დაზარალებულან მოუსავლობით. ზოგიერთ ადგილიდამ კორესპონდენტები იწერებიან, ჩვენის მაზრიდგან არც ერთი მუშა არ წაუყვანიათო. ამ უბედურებას მრავალი სხვა უბედურებაც დაერთო. როგორც ყველგან, ისე რკინის გზის გაყვანის საქმეშიაც მოიჯარადრეები არიან ჩარეულები და მუშების დაჭერაც იმათი საქმეა. მიდის აუარებელი ხალხი და ეხვეწება, მე მამუშავეო. კითხვა არ უნდა, მოიჯარადრე უფრო იმას ამუშავებს, ვინც ნაკლებს დასჯერდება. ამ გარემოების წყალობით საწყალი მუშა მთელის დღის ულევთ შრომის ფასად ცალიერის პურის ფულსაც ძლივსა იღებს.

---

# დეპეშა

14 ნოემბერი

**პეტერბურგი.** აღმოსავლეთს მონგოლიაში საიდუმლო საზოგადოებათა მეოხებით აჯანყება მოხდა. დაკლეს ერთი მღვდელი და რამდენიმე ქრისტიანი. აჯანყების ადგილების უფროსებს ჯარები გაეგზავნა.

15 ნოემბერი

**ბერლინი.** საბანკო კანტორა „გოპო-ლევი“, რომელსაც რამდენიმე განყოფილება აქვს, გუშინ სისხლის სამართლის საქმეების კომისარმა დაკეტა. პატრონი დაპატიმრებულია. შეტანილი ფული არსადა სჩანს. ნაღდი აღარა არის-რა.

ამ დეპეშამ დაიგვიანა, რადგან სატელეგრაფო მავთულები ზოგს ადგილას წახდარია. აგ. ვასილიევი.

პეტერბურგის ბირჟა, 12 ნოემბ.

| | მყიდვე-ლისა. | გამყი-ველისა. | გაყიდუ-ლისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | 8, 38 | 8, 37 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები | 167 | $167^3/_4$ | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული | 1, 19 | — ,, | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | $236^1/_2$ | — ,, | — ,, |
| —მეორისა | $215^1/_2$ | — ,, | — ,, |
| —მესამისა | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის ფურცელი, | 200 | — ,, | 202 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | — ,, | — ,, | — ,, |
| 6% | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% | — ,, | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა | — ,, | — ,, | — ,, |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა | — ,, | — ,, | — ,, |

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისაშავს ზღვაზე

**ბათუმიდამ გადის:**

სამშაბათობით: ნაშუადღევის 4 საათზე, მოკლე გზით, სუხუმსა და ნოვოროსიისკში შეივლის.

ხუთშაბათობით: ნაშუადღევის 4 საათზე, მოკლე გზით, ნოვოროსიისკში შეივლის.

შაბათობით: საღამოს 8 საათზე, შორის გზით, ყოველს ნავთ-სადგურში შეივლის.

ორშაბათობით: საზღვარ-გარედ კონსტანტინოპოლისაკენ, საღამოს 7 საათზე.

**ბათუმში მოდის:**

ორშაბათობით: დილით, მოკლე გზით. გამოივლის კერჩსა და სუხუმზე.

ოთხშაბათობით: დილით, მოკლე გზით, გამოივლის კერჩსა და ნოვოროსიისკზედ.

პარასკევობით: საღამოზე, შორის გზით.

კვირაობით: დილით, სტამოლიდამ.

ფოთში მოდის ბათუმიდამ: ორშაბათობით, შუადღისას.

ფოთიდამ ბათუმს მიდის: ხუთშაბათობით, დილის 9 საათზე. (ბათუმში მიმავალ მგზავრთ შეუძლიანთ გადავიდნენ საფოსტო გემზე, რომელიც გადის ნაშუადღევის 4 საათზე).

კვირაობით: დილის 9 საათზე.

ფოთიდამ სუხუმს: ორშაბათობით, შუადღისას.

გემი „*Бабушка*“ ბათუმიდამ ფოთს მოდის კვირაობით და ოთხშაბათობით, ნაშუადღევის 2 საათზე. ბათუმიდამ გამოდის იმ დროს, რომელსაც დაჰნიშნავს ბათუმის საააგენტო.

ფოთიდამ ბათუმს მიდის:: სამშაბათობით, დილის 9 საათზე, იმ გემს მიუსწრობს, რომელიც სუხუმზე გაივლის და ოდესაში მიდის.

შაბათობით: დილის 9 საათზე. ესეც იუსწრობს ოდესაში მიმავალს გემს.


# განცხადებანი

ტფილისის ქალაქის გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს, რომ 5 დეკემბერს, დილის 10 საათზე, მისს სადგომში ვაჭრობა მოხდება სამის წლის ვადით იჯარით გასაცემ ბორნისა, რომელიც დადის მტკვარზე მუხრანიანთ ქუჩის პირიდგან რიყემდე. პირობათა შესატყობად მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ გამგეობის კანცელარიას დილის 10 საათიდგან 12-მდე. (6—2)

---

ტფილისის ქალაქის გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს, რომ 30 ნოემბერს, დილის 10 საათზე, მისს სადგომში მოხდება ვაჭრობა სამის წლის ვადით იჯარით გასაცემად 2147 დესეტინისა და 2040 ოთხ-კუთხის საჟენის საქალაქო მიწისა ავლაბარში. (6—2)

---

გამოვიდა და იყიდება „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

# საუნჯე

მეათე საუკუნისა

წერილი

მოსე ჯანაშვილისა

იოანე ტბევრელ ეპისკოპოსის სურათითა და მეათე საუკუნის საგალობო ნიშნების ნიმუშებით.

ფასი ერთი აბაზი

(10—0—10)

---

# იყიდება იაფად

ექვსი დღიური სარწყავი მიწა, სახლის ადგილი, საზაფხულო სადგომად გამოსადეგი, ვენახი, საბაღე და სახნავი მამული სოფელს ბერბუკში, რომელიც $1^1/_2$ ვერსზეა ქალაქ გორიდამ. პირობათა შეტყობა შეიძლება საპიორების ქუჩაზე, № 23, სახლის-პატრონ ჯიმშეროვთან. (3—2)

---

## აბრეშუმის თესლეულობა
# ძმ. პასხალიდებისა
ბრუსსაში (ოსმალეთში).

ცელლიულიარული გრენა (აბრეშუმის ჭიის თესლი) ძმ. პასხალიდებისა

როგორც კავკასიის ბევრმა აბრეშუმის მაწარმოებელმა უწყის, ეს თესლი დიდად საღია და თითო მისხალი 35 გირვანქამდე შეუმუშავებელს თეთრს პარკს იძლევა. იყიდება კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოებაში ოთხ-კუთხის ყუთებით და თითოში რვა-რვა მისხალი თესლია; თითო მისხალი ჰღირს 75 კაპ. ვისაც ბლომად ჰსურს აბრეშუმის ჭიის თესლის ყიდვა, შეუძლიან მიჰმართოს ტფილისში, სასახლის ქუჩაზედ, არწრუნისეულს ქარვასლაში, № 119, ძმათა პასხალიდებს. (5—4)

---

ქართველთა ამხანაგობის გამოცემა № 9

# ბნელი

მოთხრობა

## ნ. მელანიასი

(ფსევდონიმია)

ფასი 40 კაპ.

გარდაეცა გასასყიდად ქართველთა ამხანაგობის მაღაზიას (საკუთარი შენობა, ქვაშვეთის ეკკლ. პირდაპირ) და ამხანაგობის აგენტებს. (5—5


---

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

# „ივერია“

1891 წ. 1-ს იანვრიდამ გამოდის ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 12 თთვით | 10 მ. — კ. | | 6 თთვით | 6 მ. — კ. | |
| 11 ,, | 9 ,, 50,, | | 5 ,, | 5 ,, 50,, | |
| 10 ,, | 8 ,, 75,, | | 4 ,, | 4 ,, 75,, | |
| 9 ,, | 8 ,, —,, | | 3 ,, | 3 ,, 50,, | |
| 8 ,, | 7 ,, 25,, | | 2 ,, | 2 ,, 75,, | |
| 7 ,, | 6 ,, 50,, | | 1 ,, | 1 ,, 50,, | |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

**ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:**

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის გვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

---

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები კორესპონდენციები, რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ვეღარ მოსთხოვენ.

---

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.

Дозв. ценз. Тифлисъ, 16-го Ноября 1891 г. სტამბა მ. შარაძისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.